საქართველო

29007-01-2-201807101036

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/29007
10/07/2018

ფრიად სასწრაფო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

სსიპ „აწარმოე საქართველოში“

გაცნობებთ, რომ კატარის სახელმწიფოში საქართველოს საელჩო კატარული ფარმაცევტული კომპანიის „QLife Pharma“ აღმასრულებელ დირექტორს ახმედ ალ მოჰანადის შეხვდა.

საელჩოს ინფორმაციით, „QLife Pharma“ 2014 წელს დაარსდა, როგორც ფარმაცევტული პროდუქციის დისტრიბუტორი კომპანია, ხოლო 2016 წლიდან ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება დაიწყო. დღეისათვის, კატარში, „QLife Pharma“ ფარმაცევტული პროდუქციის ერთადერთი წამყვანი მწარმოებელი და უდიდესი იმპორტიორია, რომელიც ყველა სახელმწიფო საავადმყოფოსა და სამედიცინო კლინიკას პროდუქციით ამარაგებს *(პრეზენტაცია კომპანიის შესახებ ერთვის)*. აღსანიშნავია, რომ კატარის მიმართ დაწესებული ბლოკადის ფონზე, კომპანიისთვის მნიშვნელოვანია საქმიანობის დივერსიფიცირება და ახალ პარტნიორებთან კავშირების დამყარება *(კრიზისამდე კატარის ფარმაცევტული პროდუქციით მომარაგების 90%-იანი წილი საუდის არაბეთიდან იმპორტირებულ ნაწარმზე მოდიოდა)*.

შეხვედრაზე საქართველოს საელჩომ, ფარმაცევტიკის დარგში მოღვაწე ქართული კომპანიებისა და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვის მიზნით კომპანიის წარმომადგენელს საქართველოში ვიზიტი შესთავაზა. ახმედ ალ მოჰანადიმ მზადყოფნა გამოთქვა მ.წ. 18-20 ივლისს საქართველოს ეწვიოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საელჩოს მოსაზრებით, სასურველია გაიმართოს შეხვედრა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან *(მინისტრის მოადგილის დონე)* და წამყვანი ქართული ფარმაცევტული კომპანიების ხელმძღვანელებთან.

გთხოვთ, ზემოხსენებული ინფორმაცია გაავრცელოთ კატარულ მხარესთან თანამშრომლობით შესაძლო დაინტერესებულ კომპანიებში და გვაცნობოთ სამინისტროს და კომპანიების გადაწყვეტილება კომპანიის „QLife Pharma“ წარმომადგენლებთან შეხვედრის შესახებ, ასევე, მოგვაწოდოთ საკონტაქტო პირის/პირთა მონაცემები, შემდგომში კომპანიის ინფორმირებისათვის.

დანართი: ტექსტის თანახმად

პატივისცემით,
ალექსანდრე ხვთისიაშვილი

დეპარტამენტის დირექტორი
საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი